

ასოციაცია ბუნებრივი ღვინო

სახელმძღვანელო



2017 წელი

1. ასოციაცია ბუნებრივი ღვინო

ასოციაცია ბუნებრივი ღვინო (შემდგომში ასოციაცია) წარმოადგენს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირს რომლებიც ეწევიან მხოლოდ ორგანულ (ე.ი. ბიო ან ბიოდინამიურ) მევენახეობას და ბუნებრივ (ე.ი. ნატურალურ) მეღვინეობას.

ასოციაცია არის არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის მმართველი ორგანო არის დამფუძნებელთა კრება.

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეთანხმება და იზიარებს წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულ მოთხოვნებს.

ასოციაციას გააჩნია საკუთარი ნიშანი რომელიც გაიცემა მხოლოდ ამ ასოციაციის წევრებზე. ნიშნის გაცემა ხდება მმართველი ორგანოს მიერ დადგენილი წესით.

ბუნებრივი ღვინო ნიშნავს რომ

- 1.1 მევენახე-მეღვინე აშენებს და უკლის ვენახს ბიო(ეკო) მოთხოვნების შესაბამისად. იგი უფრთხილდება გარემოს და ცდილობს შექმნას ვენახში შესაძლებლად თვითკმარი ეკო სისტემა.
- 1.2 მევენახე მეღვინე ღვინის დაყენებისას არ იყენებს იმ ხერხებს და საშუალებებს, რომელმაც შეიძლება თვისებრივად შეცვალონ ღვინის ბუნებრივი ორგანოლექტიკური თვისებები.
- 1.3 მევენახე-მეღვინე აღიარებს ღვინის წარმოშობაში ტერუარის პრიორიტეტულ წვლილს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ტერუარის თვისებების წარმოჩენას.
- 1.4 მევენახე- მეღვინის მიერ გამოყენებული ეტიკეტი სიმართლით და სრულად უნდა ასახავდეს ღვინის წარმოშობას.

2. ასოციაციის წევრობა

- 2.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს პირი/პირთა ჯგუფი/იურიდიული პირი რომელსაც გააჩნია საკუთარი ვენახი და მარანი და იზიარებს 1 . პუნქტში მოცემულ პირობებს.
- 2.2 ასოციაციის წევრი არ შეიძლება იყოს წევრი რომელსაც ბუნებრივ ვენახთან ერთად პარალელურად გააჩნია კონვენციური ვენახი.
- 2.3 წევრობისათვის საჭიროა ასოციაციის ვებგვერდზე არსებული განაცხადის სრულად შევსება და ღვინის ნიმუშის წარმოდგენა (თუ ასეთი არსებობს) დეგუსტაციისთვის. განაცხადი მიიღება და განსახილველად გადაეცემა დამფუძნებლებს, რომლებიც ორი თვის ვადაში განიხილავენ განაცხადს, რის შემდეგაც, ხდება აპლიკანტის ვენახისა და მარნის ადგილზე გაცნობა დამფუძნებლების მიერ შერჩეული ჯგუფის მიერ.
- 2.4 გადაწყვეტილება კავშირში წევრის მიღებასა ან წევრობის შეჩერებაზე ხდება დამფუძნებლთა კრების მიერ, დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესით.
- 2.5 წევრი მიღებულად ითვლება წევრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან.
- 2.6 წევრების აღრიცხვა ხდება ასოციაციის ვებგვერდზე
- 2.7 ასოციაციის წევრობის საფასური შედაგენს 250 ლარს წელიწადში.

3. ასოციაციის წევრის ვალდებულებები

- 3.1 წარმოადგინოს სრული ინფორმაცია მის სარგებლობაში არსებული ვენახებისა და მარნის შესახებ
- 3.2 კვარტალში ერთხელ წარმოადგინოს ინფორმაცია მის მარანში არსებული ღვინის მარაგების შესახებ. ეს უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მის საკუთრებაში არ არსებული ვენახიდან დაყენებული ღვინის შესახებაც.
- 3.3 შეიტანოს დაწესებული საწევრო გადასახადი წლის განმავლობაში.



4. ასოციაციის წევრობის შეჩერება

- 4.1 წევრობის შეჩერების წესი განსაზღვრულია კავშირის წესდებით. წევრობის შეჩერება ხდება დამფუძნებელთა უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
- 4.2 წევრობა შესაძლებელია შეუჩერდეს წევრს, რომელიც არღვევს ამ დოკუმენტში მოცემულ მოთხვნებს.
- 4.3 წევრობა შეიძლება შეუჩერდეს წევრს რომელიც არ იხდის საწევრო გადასახადს.
- 4.4 წევრობა შეჩერებულად ითვლება ასოციაციის უფლებამოსილი პირისგან შეტყობინების თანავე.



5. ვენახის მოვლა

- 5.1 ვენახის მოვლის პროცესში შეძლებისდაგვარად უნდა გაუმჯობესდეს არსებული ეკოსისტემა და დაცულ იქნას ან განახლდეს მცენარეთა და ნიადაგის ბიომრავალფეროვნება.
- 5.2 ვენახის მოვლისას დაშვებულია მხოლოდ ისეთი ბიოლოგიური ან კონტაქტურ-ქიმიური პრეპარატების გამოყენება, რომელიც აღიარებულია როგორც საუკეთესო პრაქტიკა და გამოიყენება საერთაშორისო ბიო ან ბიოდინამიურ მევენახეთა საზოგადოებების/გაერთიანებების მიერ.
- 5.3 აკრძალულია ნებისმიერი სახის სისტემური პესტიციდის, ნებისმიერი ჰერბიციდის და მინერალური სასუქების გამოყენება.
- 5.4 თუ მევენახე იყენებს პრეპარატს, რომელიც გაერთიანების მმართველი ორგანოსთვის ცნობილი არ არის, იგი ვალდებულია დაასაბუთოს მისი უვნებლობა, წარმოშობა და საერთაშორისო ბიო ან ბიოდინამიურ მევენახეთა საზოგადოებებისთვის მათი ცნობადობა



6. ღვინის დაყენება

- 6.1 ღვინის დაყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ საკუთარი, ან იჯარით, ან სხვა სარგებლობის ფორმით არსებული ვენახის ყურძნისგან, რომლის მოვლაში და მართვაში უშუალოდ ასოციაციის წევრები არიან ჩართული
- 6.2 ღვინის დაყენების პროცესში დაუშვებელია ისეთი ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიკური ჩარევა, რამაც შესაძლოა შეცვალოს ღვინის ბუნებრივი თვისებები. დაშვებულია მხოლოდ მარნის შიდა გარემოს ტემპერატურის რეგულირება. გოგირდის საერთო შემცველობა ლიტრზე არ უნდა აღემატებოდეს 50 მილიგრამს.
- 6.3 დაშვებულია მხოლოდ გოგირდის დამატება ღვინოში, ბოთლში ჩამოსხმის წინ, ან უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ფერმენტაციის შემდეგ დავარგებისას
- 6.4 დუღილი (ფერმენტაცია) დაშვებულია მხოლოდ ველური ბუნებრივი საფუარის მეშვეობით.
- 6.5 აუცილებლობის შემთხვევაში დაშვებულია მხოლოდ უხეში (ანუ 3-4 მიკრონიანი და უფრო დიდი ფორმების მქონე) ქაღალდის ან სხვა ბუნებრივი ინერტული მასალის ფილტრის გამოყენება.

7. ინსპექტირება

ასოციაცია ყოველწლიურად ატარებს მათი წევრების რამდენიმე ვენახის ინსპექტირებას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დამფუძნებელთა კრების მიერ.

ვენახის და მარნის ინსპექტირება ხდება დათვალიერებით, ვენახში გამოყენებული პრეპარატების შემოწმებითა და გაცნობით, ნიმუშების აღებით. ნიმუში შეიძლება იყოს ვენახის ფოთოლი, ნიადაგის სინჯი ან ყურძენი.

ასოციაციას უფლება აქვს ჩაატაროს გაუფთხილებელი ინსპექტირება მისთვის სასურველ დროს.



8. ბუნებრივი ღვინის ხარისხის ნიშნის მინიჭება

ხარისხის ნიშანი არის ასოციაციის ლოგო, რომელიც შესაძლებელია დატანილ იქნას ასოციაციის წევრის ღვინის ეტიკეტზე.

ნიშანი შეიძლება მიენიჭოს ღვინოს რომელიც დაწურულია, წევრის საკუთრებაში ან სხვა ფორმით სარგებლობაში არსებული იმ ვენახში მოწეული ყურძნიდან, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმყოფებოდა წევრის ისეთი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც აძლევს მას საშუალებას პასუხისმგებლობა აიღოს ამ ვენახის ორგანულობაზე.

ნიშნის მისაღებად აუცილებელია:

- ღვინის ნიმუშის წარმოდგენა
- წლიური დეკლარაციის შევსება, სადაც მითითებული იქნება ღვინის რაოდენობა (ჯიში, წელი) რომელზეც ხდება ნიშნის მინიჭების მოთხოვნა.

ნიშნის მინიჭება ხდება დამფუძნებელთა კრების მიერ. ნიშნის მინიჭების გადაწყვეტილება წევრს წერილობით ეცნობება.



9. ცვლილებები სახელმძღვანელოში

სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა ხდება დამფუძნებელთა კრების მიერ.

ცვლილებები შესასრულებლად სავალდებულო ხდება მას შემდეგ რაც ამის შესახებ ეცნობებათ კავშირის წევრებს. შეტყობინება ხდება ელ ფოსტის საშუალების და ცვლილების ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

